

რედაქცია

მელიქიშვილის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგეშტოვის სახ-
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის; ВЪ Тяжисѣ. ВЪ
редакцію газеты „Дроаბა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ურან-
ტუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-შთავრულით,
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.,
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

თფილისის ღუბაჩინის თავად-
აზნაურთა წინამძღოლი საჟო-
ველთაოთ აცხადებს, რომ ვალს,
1 მაისიდან დაიწყება ჩვეულე-
ბრივი კრება ღუბაჩინისა და უე-
ზდის თავად-აზნაურთა წინამ-
ძღოლთა აღსარებად. (3-3)

თფილისის თავად-აზნაურთა-
ზის საადგილ-გამოწმ ბანკის
წესდამდგომელი კომიტეტის თავს-
მჯდომარე, ფანდების § 83 მუხ-
ლის საფუძვლით, აცხადებს, რომ
ჩვეულეობრივი საზოგადო კრება
ბანკის თაობაზე დაიწყება თა-
ვის სხდომებს ამ 1876 წლის მა-
ისში. უფრო დაწვრილებით თა-
ვის დროზე იქნება გამოცხადე-
ბული. (3-3)

საქართველო

ახალციხის მართვალევი

„დროების“ მე-17 ნომერში და-
ბეჭდილი იყო ახალციხიდან გამო-
გზავნილი კორრესპონდენცია, რომ-
ლიდამაც მკითხველი შეიტყობდა,
რომ ერთი იქაური ტერ-ტერა ყო-
ველ ღონის ძიებას ხმარობს ქართვე-
ლი კათოლიკეები დაარწმუნოს, რომ
ისინი ნამდვილი სომხები არიან და
არა ქართველები; მეცადინებსო, რომ
სომხური ენა გააერთილოს ისეთს
ქართველებში, რომელნიც თავის
დღეში სომხები არა ყოფილან და
რომელთაც თავის თავი ნამდვილ
ქართველებად მიიჩნიათო...

ზასაკვირველი არე-დარევა ჩვენ-
ში სარწმუნოებასა და ხალხს, ნაციას

ფელტონი

დაპირვება და ფიქრები

პარიველ გლეხს, მუშას რომ და-
ეკითხო ეხლანდელ საფრანგეთის
მდგომარეობაზედ, იცით რას გეტ-
ყვისო?

— მე არაფერს არ ვთხოვლობ
გარდა იმისა, რომ მე ჩემი თავის პა-
ტრონი ვიყო; ჩემს დღეში არაფის
საქმეში არ ვერევი, არაფის რასმეს
ვართმევ, არაფის ვბარავ, არაფის ვა-
ლი არ მიწდა, ოღონდ მე დამაყე-
ნონო. ჩემს მართებლობას ჩემს თა-
ვისუფლებას ვსთხოვო, ჩემს მართე-
ბლობას ჩემი შრომის ფასს ვსთხო-
ვო, ე. ი. მართებლობა ჩემი მფარ-
ველი უნდა იყოს იმ დროში, როცა
ჩემის ნაშრომის შერჩენას ვინმე
ფულიანი ფაბრიკანტი დაპირებს. მე
იმისთანა კაცებს მივცემ ხმას, რო-

შუა; სარწმუნოება და ნაცია ერთმა-
ნეთში ვერ გაგვირჩევია!

თუ ქართველს, რომლისამე გა-
რემოების წყალობით, ესთქვათ, კა-
თოლიკე სარწმუნოება მიუღია, ის
თავის თავს ქართველად კი აღარა
სთვლის, „ფრანგათ“ სთვლის, თით-
ქო სარწმუნოების გამოცვლამ იმის
ქართველობა (ნაციონალობა) შეს-
ცვალა.

ისტორია გვეუბნება, რომ ძველად
რომის პატრები ყოფილან ჩვენში
და ბევრი ქართველი გაუკათოლი-
კებიათ.

მაგრამ ამ სარწმუნოების შეცვლამ
განა იმათი ხალხობა, იმათი ქართვე-
ლობა შესცვალა?

ამ გარემოებით, ამ სარწმუნოე-
ბისა და ნაციის გაურჩევლობით,
სარგებლობს ახლა, უეჭველია, ხე-
ნებული ტერ-ტერა და არწმუნებს
ახალციხის ქართველ-კათოლიკეებს,
რომ ისინი სომხები არიან და ყვე-
ლაფერა სომხური შეიფოსონ.

ძალიან საქებია, რასაკვირველია,
როცა კაცი თავის ხალხის ერთგუ-
ლია; როცა ვინმე ცდილობს, რომ
თავის თანამემამულეთა რიცხვი გა-
ამრავლოს და გააძლიეროს. მაგრამ
ამისთანა კაცმა არასოდეს არ უნდა
დაეიწყოს, რომ ეს თავის ხალხის
გაძლიერება და გამრავლება რომე-
ლიმე სხვა ხალხის ხარჯით არ მო-
ხერხდება...

ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ
ახალციხის კათოლიკეებში ზოგი სო-
მხები ურევიან, მაგრამ ბევრი ქართვე-
ლებიც...

მელიც ჩემი ინტერესის დამცველი
იქნება მართებლობაში და უცხო
ქვეყანაშიაცო...

მართლდაც, რა აქვს სხვა სათქ-
მელი ეხლანდელ ფრანკულს, რომ-
ლის ხელშიაც თავისი ბედ-იღბლის
მართვა, წინ-წაწევა და დაუკულმარ-
თება დევს დღეს, რომელიც თვით
განაგებს თავის მართებლობას, თვი-
თონ ნიშნავს მეფეთ თუ მთავრო-
ბათ იმას, ვინც მოესურვება.

მაგრამ უბედურება საფრანგეთისა
ის არის, რომ ამისთანა თავის
მცნობ პირებს ცოტას შეხვდება კა-
ცი შმრავლესობის ცხოვრების სუ-
რათი ის არის, რომ სჭამს პურს
და არც კი იცის: რა პურსა სჭამს და
როგორ ნაშრომარს; ტანს აცვია, ახუ-
რავს და ასრე ფიქრობს, თავის ბა-
ტონმა ან მისმა ნაჩაღნიკმა მისცა მას.

შველაფერი თვით უცნობელობის
მიზეზია; მაგრამ საფრანგეთი დღეს

ძვირად ვაფასებთ ჩვენ კათოლიკე
ქართველებს, რადგან ამ ჟამად იმათ-
ში უფრო მომეტებულს ქართვე-
ლობას, ქართულს გრძობასა და
თავის სამშობლო ქვეყნის სიყვა-
რულს ვხედავთ, ვიდრემ ბევრს ნამ-
დვილ ქართველებში...

ბევრჯელ გვითქვამს, რომ ჩვენ სომ-
ხებთან თანხმობა და ძმური დამო-
კიდებული გვიღ და გვქონდეს. ჩვენ
გვინდა და უარზე არც ისინი დგანან.

მაგრამ ყოველი იმგვარი შემთხვევა
და მოქმედება, როგორც ზევით მო-
ვიხსენიეთ, კეთილ გაწყობილებასა და
ძმურ კავშირს ასუსტებს.

დღიური

უფ. ს. მელიქიშვილის სტამბაში
დაბეჭდა, რუსულს ენაზე, და კიდევ
გამოვიდა ახალი გილდიური წესდე-
ბა ეპტრობის თაობაზე. ამ სამ-ოთხ
დღეში, როგორც გვითხრეს, ეს წეს-
დება ქართულს ენაზედაც გამოვა და
საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებ-
ში გაიგზავნება გასასყიდათ.

ზასულ შაბათს, საღამოს, ქალაქის
ზამგეობის ზალაში მოწვეულნი იყე-
ნენ ის პირნი, რომელთაც სურვილი
განაცხადეს, რომ თფილისის ერთ-
დღიურს აღწერაში მონაწილეობას
მიიღებენ. აღწერის გამგებელმა, უფ.
დობროვოლსკიმ აუხსნა ამათ წესი—
თუ როგორ უნდა მოხდეს კვარტი-
რებისა და თვით მცხოვრებლების

უფრო საყურადღებო მხატვრობას
წარმოგიდგენს. საფრანგეთს დღეს
რესპუბლიკა მართავს, ე. ი. თვით
საფრანგეთი მართავს თავის თავს
და არა ერთი პირი, მეფე, ნაპოლე-
ონი ვთქვათ.

პარიველი მუშა თუ ისე სჯის,
როგორც ზემოთ ვთქვით, ეხლა სა-
ფრანგეთის სოფლის მუშაც ამასვე
ამბობს.

მეაუწყებენ არამც თუ ჟურნალები
და საზოგადოთ ბეჭდვა, ამასვე იმი-
სთანა დიდი ცხოვრების გამოწაცა-
დი და ტკუის კაცებიც გვეუბნე-
ბიან, რომელთაც არც რეფორ-
მით, ცელიდებებით აღტაცება ვტ-
ყობათ, არც ცერობა და არც სხვა
რაიმე ინტერესები.

შრანკუზი სოფლელიც ამას ამ-
ბობს:

— მე ჩემს გუთანს ვადგივარ,
ჩემს ხარ-კამბერს იმიტომ ვუვლი, ვი-
ურვებ და ვეფერები, რომ დამახუ-

აღწერა და დაურთვა ყველას დაბეჭ-
დილი ფურცლები, რომელზედაც
ყოველ გვარი ცნობები უნდა დას-
წერონ სახლის პატრონებმა. მომა-
ვალს შაბათს კიდევ ერთი სხდომა
იქნება.

ჩვენ გავიგეთ, რომ თვითონ ერთ
დღიური აღწერა თფილისისა მარტის
დამღვეზე ან აპრილის დამღვეზე აღ-
რე ვერ მოხდებაო.

ჩვენ გვითხრეს შემდეგი სასიამოვნო
ამბავი: როგორც კი აქაურს სასუ-
ლიერო სემინარიაში მოსულა მუ-
თაისის ცეცხლის ამბავი, იმწამსვე შა-
გირდებს ხელის-მოწერა გაუმართავთ
ცეცხლისაგან დაზიანებულების სა-
სარგებლოდ და, როგორც გვითხრეს,
ამ ხელის-მოწერით ერთი ფუმიანი
მოუწროვებითა და ეს ფულები თავის
უფროსისთვის წარუდგენიათ მუთაისს
გასაგზავნათ.

ძვირად გვინახავს ჩვენს ქალაქში
ისეთი გაცხარებული ძებნა ბილეთე-
ბისა, როგორც მონტსკის კონცერ-
ტისათვის იყო წასულს კვირას. ბე-
გონებოდით, თფილელებისთანა მუ-
შიკალური ხალხი დედა-მიწაზე არ
მოიძებნებო. ისე მიეშურებოდნენ
ყველანი ამ გამოჩენილი მესკრიპკეს
თამაშის გაგონებას. მუშიკალური სა-
ზოგადოების დიდს, გრძელს, მაგრამ
უშნო ზალაში ერთი დაუქვრელი
სკამი არ ყოფილა, თუმცა ორ მანეთ-
ზე ნაკლები ფასის ადგილი არ ყო-
ფილა...

როს და მარჩინოს და ჩემს ცოლ-
შვილთან მაჩვენოს ტკბილი ცხო-
ვრებაო, თორემ კლდე-ღორეშიაც
გადამტერებულა ყველაფერიო.

მეც იმისთანა მართებლობა მიწ-
დაო, ამბობს ფრანკულსის გლეხი, რა-
მელმანც ცხოვრება გამოადვილოსო,
კარგი გზები გამოიყვანოსო, კარგი
შკოლები აგვიშენოსო, ზორაგათუ-
ლობას და საქონელს ბაჭი ახსნასო
და სხვა-და-სხვა... შველაფერი ხარჯის
გადატანა შემოძლიანო, ოცი, ოცდა-
ათი, ორმოცდა-ათი მანეთი გადა-
მანდევინოს მართებლობამ წლის გა-
დასახადი, ოღონდ მე რომ ურემს
ხორავით დაეტვირთავ, ქალაქში გა-
სასყიდლათ, კანეკობით ბაქსანუ გა-
დამანდევინებს,—ჩვენში რომ მიტ-
კალი, ნარმა და სხვა ტანსაცმელები
ძვირია და მეზობელ ხალხში იაფო-
ბაა, რატომ გადაგვხდეს ვითომ ორი
იმდენი ფასი ამ საქონელში უბრა-
ლო დაბაჭვით, როცა უმაგისოთ

რასაკვირველია, რომ კონტრაქტი და იმის ქალ-ვაჟმა გაამართლეს საზოგადოების მოლოდინი: მუშაკის მცოდნე და ყურთასმენის მქონებელი პირები ამბობენ, რომ ნამდვილი მუშაკალური სიამოვნება და სიტკბოება იგრძნეს ამ საღამოს განსაკუთრებით თვითონ უფ: აპოლინარი კონტრაქტისა და იმის ქალის — მანდის მუშაკისაგან.

* *

ჩვენ გვითხრეს, რომ ზუგდიდის უბნში ვილაცას ერთი საშინელი დიდი თავი და კბილი უნახავს მიწაში. მართა ერთი კბილი ისეთი დიდი იყო, რომ უკანასკნელ ნახევარ ფუტს იწონსო. ეს კბილი ერთ ვილაც სომებს შადინოს ჩამოუტანია ქალაქში და მალე თავის ძვლების ჩამოტანასაც აპირებსო.

როგორც აგვიწერეს, ეს კბილი და თავი მამონტის (სპილოს გვარის ცხოველის) უნდა იყოს. ბუნების გამომძიებელთათვის საინტერესო იქნება ამ ძვლების ნახვა და შეტყობა, რომ ერთ დროს ამ ცხოველს ჩვენს ქვეყანაშიაც უცხოვრობა.

* *

ზასულ კვირას მთელიისის კლასიკურ მიმნახვის ზალაში ყოფილა სხდომა „ზღვის ღელვისაგან დამფარველ საზოგადოებისა.“ წლიური ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, როგორც „მთელიისის მოამბე“ გვაცნობებს, ზღვის კაპიტანს აბეზიანინოს აუწერია გარემოება ორთქლის ბარჯის „პერენცის“ დაღუპვისა, რომლის შემდეგაც საზოგადოებას გადაუწყვეტია, რომ უფ. ლზარევიჩს და შოთის საზოგადოებას ზღვის ღელვისაგან დაღუპვის „განკიცხვა“ გამოუცხადოსო.

* *

მრუბათის სხდომაზე ქალაქის მამგობამ გადაწყვიტა, რომ ერთი წევრი (უფ. პლიმირზოვი), თავის თხოვნის ძალით, გაანთავისუფლოს

საზოგადო საშინაურისაგან, ე. ი. წევრობისაგან.

ამავე სხდომაზე უნდა ყოფილიყო აგრეთვე მოლაპარაკება იმაზე: მოისპოს თუ არა გადასახადი (ერთი მანეთი), რომელსაც მაგვობა ყველა ქალაქში მყოფ მოსამსახურეებს ახდევინებს?

მაგრამ ამ სხდომაზე ამ საგანის გადაწყვეტა ვერ მოაწრეს.

ღარწმუნებით კი ამბობენ, რომ ეს გადასახადი, რომელმაც ასე მოაბეზრა ყველას თავი, უიქველად მოისპობაო. დროც არის...

„დროების“ კორექსიონი

ახალიცხე, 20 თებერვალს

ღიღის მხიარულებაში ვართ ამ ქამად ჩვენ, რადგანაც ქალაქის გამგობის ახალს წესს მოვესწარით და იმედნეულად ვართ, რომ ქალაქის თავმა უ. ხითაროვმა ბევრი კეთილი განკარგულება მოახდინოს. თუ ჩვენც შესაფერი წევრები ამოურჩიეთ.

ამ თებერვლის 18 დაურაგა ყველას უ. ხითაროვმა განცხადებები, რომელშიაც უცხადებს, რომ ვისაც ამას წინედ ვიდრე ვართ რაიმეს ხარჯი და გაქვთ კვიტანციები, წარმოადგინეთ ყველამ, რა შემოწმდეს ვისზედ რამდენი ირიცხება გადაუხდელი ხარჯი (ნელომკაო), და თუ 29 თებერვლამდინ არ შეასრულებთ ამ განცხადების ძალასო, მაშინ წევრების ამორჩევის დროს აღარ გიქმნებათ ხმაო, და ამის შემდეგ მე-17 სტ. და 4 პუნქტის ძალით გაგესყიდებათ თქვენ უძრავი მამულები და მიეცემა თქვენს დანაშთენს ნილომკაო.

ამ განცხადებამ ცოტა არ იყოს შეახურა ხალხი ასრე, რომ ვისაც არა მგონია გამოუძებნა რამდენიმე წლის კვიტანციები, და დაეძებს ბაზრში წამკითხავს. შენი მტერი, რომ ეს კვიტანციები ვერ დაიფარვენ საწყლებს ნილომკებისაგან, რადგანაც სრულად არ არის კვიტანციაში ჩაწერილი ხარ-

მეტს სარგებლობას ვნახვდითო.

„მე რამდენიმე აერი მიწა მიჭირავს, ამ მიწას კიდევაც დაეხანე წესიერთ, გაეასუქებ და რაც შრომა სჭირია, ხელს არ დაეკლებ, ერთი-ორათ ნაყოფსაც მოგიყვან, ოღონდ უდროათ სამუშევარზე ნუ გამოგვიწვევენ, უდროთ ბოქაული ნუ ჩამომიდგებო, უდროთ მტრის თუ ჩვენს სალდათებს ნუ მომაყენებენ კარზეო და სხე...“

* *

ღიღის, დღეს საფრანგეთში რესპუბლიკას შნო, ძალია მოელის და დღევრძელობა...

მაგრამ, მაგრამ საფრანგეთი მართა მაგით კი არაა შესამჩნევ: საფრანგეთის ბედს ძალი ვერ დაჰყვებო, რომ ამბობენ ესლა ინგლისელები, ეს მართა მაგის მიზეზი კი არ არის.

პრუსიის ომის შემდეგ რომ საფრანგეთმა ცასქვეშეთის გასაშტერებლათ ასრე უცებ გადაიხდა თავისი

ვალი და აგრე უცებ გამოიბრუნა, მოიკრიფა შელახული და დაუძლეურებული ძალი, ეს იმის მიზეზიო, ამბობენ ინგლისელები, რომ სფრანგეთის მიწა წყალი უფრო წეიერთ დანაწილებულიო, ვიდრე სხვაგანო, საფრანგეთში უმიწა-წყლო სოფლის გლეხი უფრო იშვიათი შემთხვევაა, ვიდრე სხვაგანო და მით უმეტეს ჩვენშიო; და ვინცობაა, პრუსიელებს რომ ჩვენ დაემატებინეთო, უფრო დავაზიანებდა ამნაირი ომი, ვიდრე საფრანგეთსაო.

მართლაც, საფრანგეთის მეურნეობის წარმოებას ეხლა მთელს ცასქვეშეთში პირველი ადგილი უჭირავს; თითქმის არსად იპოვება ამნაირი მოსავლის სიმრავლე ერთს და იმავე ადგილზედ, როგორც საფრანგეთში; მთელს საფრანგეთს კაცის გონებითი მოძრაობა, ოსტატური მეურნეს ხელი ატყვია, ტყე ტყესა ჰგავს, სახნავი მომკვლის გულის გასახარად

ჯის ამკრფისაგან (სბორჩკისაგან) მიღებული ფული, და თუ ასრე აღსრულდა, როგორც განცხადებშია მოხენებული, ბევრს ახალციხის მცხოვრებს გაესყიდებათ უძრავი მამულები; და თუ არ წაერთოთ ეს ნილომკები, მაშ რითი უნდა შესრულდეს, როგორც ამბობენ, 40 ათასი მანეთი ნილომკა? სკვირველი ეს არისო, იბახიან, რომ, შეძლებულს პირებსზედ ზოგზედ 400 მანეთი, ზოგზედ სამსი და ბევრზედ ასი ითვლება და რატომ აქამდინ არა სთხოვა დებუტატმა? ჩვენ ღირბთ ხალხთ გვართმევენ ყველა გადასახდასო, და მდიდრებისათვის თხოვნაც ვერ გაუბედნათო; ვგონებთ, მეორედ მოსვლამდინაც ვერ გაებედთ ამ მდიდარი ხალხისათვის ფულის თხოვნა, თუმცა ეს ახალი გამგობის წესი არ დაარსებულიყო.

ღარბ ხალხს დიდი იმედი აქვს, რომ როგორც ეტყობა, უ. ხითაროვი კარგად წაიყვანს საწყალი მცხოვრებლების საქმესო და ნამდვალს კვიტანციებს მაინც მოგვეცენო, თუმცა აქნობამდინ ასრე გვატყუებდენ ჩვენი მსუქანი დებუტატები.

ახალიცხელი.

რუსეთი

„მართებლობის მოამბეში“ არის დაბეჭდილი:

ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო 3 თებერვალს ლიფლანდიის, კურლანდიის და მსტლანდიის აზნაურების წარმომადგენელი (მარშლები) და უბძანებია შემდეგი სიტყვა: „ღღის მე მოგიწოდეთ აქ მიტომ, რომ ჩემი პირით გითხრათ და განგიმართოთ თქვენს ღებერნიებში ღენრალ-ღებერნატრობის მოსპობის მიზეზი.“

როგორც მესმის, ამნაირი მმართებლობის განკარგულებას აღუძრავს საზოგადოებაში მრავალი უსაფუძვლო აზრები, რომლის მოსპობას

ჰყეტს თვალს, ვენახები !თითქო ყვირიან: რუმბები მომიშადეთო და სხე. და სხე.

მთელი წლის სამეურნეო ნაწარმოების ფასი რვა მილიონარდამდის აღის, ე. ი. რვა-ათას მილიონ ფრანკამდის.

* *

საფრანგეთის ღენო მთელს ცასქვეშეთში განთქმულია, ფრანკუზის გლეხის საჭქელი პური ჩვენს ყირიმულს პურს ედრება. და რაც შეეხება პირუტყვების აღზრდას, სამეურნეო მაშინების გავრცელებას, თუ ყველების წარმოებას და სხვა და სხვა ამებზედ მომავალ წერილში მოვილაპარაკოთ, მით უფრო, რომ ესლა სამეურნეო გამოფენაა აქ, სადაც ბევრი საყურადღებო რამეები მოიძებნება ჩვენთვის.

აქ კი, სხვათა შორის, მოგაგონებთ, რომ საფრანგეთში ორი მილიონი ახალი სისტემის გუთანია

ნამდელი მიზეზების განმარტებით საჭიროდ ვხედავ.

„ახისათვის მე...“ დღეს განმარტოთ ის საფუძველი, რომელიც ჰქონდა მმართებლობას სახეში ზემომოყვანილი თანამდებობის მოსპობის დროს.

„ახლანდელ დროში ღენრალ-ღებერნატორის გამწესება საჭიროა ისეთს დიდს ქალაქებში, როგორც მოსკოვია, ანუ იმ პროვინციებში, რომელნიც ძალიან დაშორებულნი არიან სატახტო ქალაქებს და ანუ იქ, სადაც სხვა და სხვა მიზეზებისგან საზოგადო საქმეები ჯერ-ჯერობით თავისი შესაფერი გზით ვერ მიდიან. რადგანაც არცერთს ზემო მოყვანილ საფუძველთაგანს არა აქვს ადგილი თქვენს ღებერნიებში, რადგანაც მე ძალიან კარგათ ვიცი თქვენი ღებერნიების წესის და კანონების პაცივის ცემა და სიყვარული, ამისათვის შესაძლოთ ვნახე მოვსპო ეს მაღალი თანამდებობა თქვენს მხარეში.“

„მე მრავალჯერ გამომიცხადებია მადლობა თქვენი ღებერნიებისათვის; მას აქ, თ ჩემი გული თქვენდამი არ შეცვლილა.“

„თქვენი შიში უსაფუძვლოა, თქვენი მხარეი კეთილდღეობა აგრეთვე ძვირფასი და სასტრელია ჩემთვის, როგორც ყველა ჩემი ქვეშევრდამთა. აი შინაგანი მინისტერი, რომელიც ახლა აქ დგას, მომახსენელს კანონისებრ ყოველივეს, რაც თქვენი მხრისათვის სასარგებლო იქნება. მე თქვენ გთხოვთ განუყოროთ დღეს ჩემგან გაგონილი საზოგადოებას, რომლის წარმომდგენელიც თქვენ ხართ.“

„შთხარით მთ, რომ ჩემთვის ძვირფასია მათი მამაპაპიდამ დარჩენილი რაინდული წესი და გრძობანი, რომელთაც ისინი ასე სასოებით ინახვენ.“

* *

37 რუსეთის ღებერნაში 747,100 გლეხი ყოფილა, 5,302,325 გლეხი

ხმარებაში; ყოველ წლივ ორასი ათასი გუთანის ისყიდება ძველების გამოსაცვლელათ; 292 მილიონი ეკტოლიტრი პური მოჰყავს 19 მილიონ მუშა ფრანკუზს, რომელნიც საფრანგეთში ითვლება მიურნებათ 35 მილიონ მცხოვრებზედ, 113 მილიონ ეკტოლიტრი კარტოფილი და სხე. ძარგა გასუქებული ხარების სიმძიმე 50—70 ფუთია, 10—30 ფუთამდის ღარი იწონს.

საფრანგეთის ხილის სიტკბო ყველას გაუშინჯავს.

მართის სიტყვით, საფრანგეთის ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობას ქება არ სჭირია.

მართა განათლებაა, ვითომ, ყველაფრის მიზეზი?

N

პარიჟი, 16 (4) თებერვალი

მიწის პატრონათ გამხდარა, ხოლო 211,664 კი ისევე ნადვლის ქვეშ დარჩომილა ჯერ-ჯერობით. მმართველობის შემწეობით გამოუყვლია მიწა 4,664,688 გლენს და თავის ხარჯით 63,765.

* *

თებერვლის განმავლობაში 24,000 მანეთი შეუტრებია სლავიანურ საზოგადოებას ბოსნიელების და გერცოგოვინელების სასარგებლოთ.

სოფლური შენიშვნები

(ჩხრობა *)

როგორც ჩამოსაღამოვდა, გლეხები შაიკრიფენ, დაიწყო ჩხაროთი, რასაკვირველია, წაწითლებული და გაშხარულბული მამა იჯდა, რომელიც შეაქცევდა ჩხარის პატრონს და სხვა აქ მსხდომ პატიოსან პირთა. ხნდისხან ის გადასროდა ხოლმე მეორე მხარეზედ, ქვემოთკენ, საცა ისხდნენ სხვა „დაბალი“ გლეხები, თავის სამასხარო მახვილ სიტყვებს და აცინებდა მათ. მასთან იჯდა აქაური მამა-ახლისი, ძლიერ „მიჩნეული“ კაცი, გონიერათ და სწავლულათ მიღებული. ის იჯდა უფრო სხვებზედ მაგრათ თავის ადგილზედ, მშვიდათ და დღაგებით ბაასობდა და ამასთან, როგორც იყო მოხსენებული, სხვა-და-სხვა გვარი განკარგულებებებს ახდენდა. მას ყველაში ეტყობოდა, რომ ის მოხელეობაში გამოდკილი და გამოქნილია, ის რჩვას და ბრძნებას მიჩვეულია.—მასთან იჯდა ჩხარის მომტანი, თამამად ავლებდა თვალს მოპატივებულ ხალხს. თქვენ შეატყობდით, რომ ის ანგარიშობდა, თუ რაერთი ხალხი შაიკრიბა და რაერთი საჩუქარს მიიღებს. ლაპარაკში ის მონაწილეობას იღებდა მომეტებულიათ დაბალ ხალხთან. ის იგონებდა ბევრს თავის-თავს გადასაყალს, ბევრ წარსულ ამბავებს და ჰხოცავდა ხალხს სიცილით. შოველ ამის მოძრაობაში, ქცევაში, ლაპარაკში თქვენ შენიშნავდით, რომ ეს არის იმ პრაქტიკული ბრძენთაგანი გლეხი, რომელსაც აქვს ყველა თავის მოქმედება ანგარიშობანი, აწონილი, გაზომილი და თავის სასარგებლოთ და გასამდიდრებლოთ მიმართული. ამან იცის, როდის რა უნდა თქვას და გააკეთოს, როდის მოახდინოს ჩხარო, როდისაა მისთვის დარი და ავდარი. მაგრამ ნუ გაგახარებთ და ნუ გაგიტაცებთ გლეხის ქვეის ამ ნაირი წარმატება; ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველი იმისი ძალის შემატება არის მის მეზობლების დაუძღურება...

დაცქერდით ახლა მეორე მხარეს სურათისას. თქვენ აქ ნახეთ გლეხებს დახეულ და დამონძებულ ტანისამოსში, დაფიქრებულის და დაღონებულის პირისსახეებით. ისინი იცინიან, მხიარულობენ, მაგრამ ყველა ამ სიმხიარულეს რაღაც ხელოვნური, ძალდატანებითი ხასიათი აქვს. მაინც მათში რაღაც უკმაყოფილება

ინატება... ეს არის მუშაობა შესწავლის, ჯერ კარგათ არ დაუსვენიათ, თვლიანი პირისსახე არ მოუწმელიათ,—იმას კარზედ მოუდგნენ და საჩუქარს სთხოვენ იმისთანა პირები, რომლებიც მთელ სოფელს იყრიან. რა ეოჩხრება ამათ, თუ სიმართლე გიყვართ! თქვენ გგონიათ, რომ იმათ არ ესმისთ ამ ნაირი მუქტი ექსპლუატაცია თავიანთ შრომისა და არ გრძნობენ ამას?... არა... მაგრამ როგორ აუგდნენ წინ იმ ძალებს, რომლებიც იმათ ჩხარებში ეზიდებიან? ღლიეს ოროლ-სამსამი თასი დაწყებული ღვირთ, ასტენეს ორორი ლუკმა პური,—და გათავდა ჩხარობა. ახლა უნდა ყველამ გამოაცხადოს თავის სურვილი, თუ რამდენი უნდა აჩუქოს. აბა ჩიხედეთ შიგნით იმათ გულებში, რა ამბავია. თუ ვინმე სასმლისაგან ძალდატანებულია, რაც ჩხარში ძლიერ ძვირია, ის კიდევ თამამათ აძლევს ამ დროს, თუმცა მეორე დღეს ძლიერ ნანობს. მაგრამ მომეტებული ნაწილი რაღაც ლყევაში ჩაცვივებულია: ცოტა მისცეს,—ეს ხომ დავარდნილობა იქნება, თავის ამხანაგს და მეზობელს როგორ უნდა დაუარდეს; ბევრი მისცე,—თავის ცოლშვილს რაღაცა მოს, ხარჯი და მოვალეები რითმოიშოროს. მაგრამ აქ კიდევ სხვა მიზეზები ჩაფიქრებენ. მოხდება აქ ამისთანა პირი, რომელსაც ჰყავს ან უფროსი ძა, ან დედამა, ან ავკაცი მეუღლე. როდესაც მოვა საათი ჩუქებისა, მაშინ ამ გვარი პირი მიეცემა ფიქრებს, რომ მეორე დღეს უსიამოვნება არ მისცენ ამათ. მართლაც, მეორე დღეს ბევრჯელ მოხდება, რომ სიმწარეს დაყენებენ თავზედ. ასე, ჩხარო, სხვა ბოროტებთა შორის, ბევრჯელ ჰბადებს უსიამოთაო უსიამოვნო სახლში მომეტებულ უსიამოვნებას და განხეთქილებას.

რომ უფრო ბევრი აცალკოს გლეხს და ბევრი აჩუქებინოს, აქ იხმარეს შემდეგი ხერხი: მოხსენებულმა მამასახლისმა პირველათ გამოაცხადა: „მიფეშქაშებია რვა კოდი წმიდა პური.“ ამან ერთი კოდიც არ აჩუქა, მაგრამ ამ ნაირათ მოიქცა მიტომ, რომ სხვები გაახალისოს და ბევრი აჩუქებინოს. შემდეგ ამისა წავიდა ფეშქაშობა;—ზოგი ხუთ კოდს, ზოგი ოთხს, ზოგი ორს, სამს; ნახევარ კოდზედ ნაკლები კი არვის უჩუქებია. ასე ხდებოდა ყველა სოფელში, და ამ გზით, როგორც ამბობდნენ, ამ პირმა შეაგროვა ორასი კოდი და მეტიც. ეს იყო ის დრო, როდესაც კოდი პური იყიდებოდა ოთხი მანეთი. ამან ეს პურები შინ კი არ წაიღო, ქიზიყლებზედ გაასაღა.

აბა ახლა პატარა არითმეტიკულ ანგარიშში შედი, მკითხველო, და შენ თითონ მიხედები, თუ რას ნიშნავს ეს. მართი მარცვალიც საწყალი გლეხისთვის ამ დროს ძვირფასია, მაგრამ მის ხელში რომ არ აყენებენ რასაკვირველია, ჩხარის ნამდვილი დანიშნულება ის არის, რომ საწყალი კაცი წავიდეს შეძლებულთან,

მაგრამ ეს არას დროს არა ხდება; საქმე სულ უკუღმა გამოდის. ბავიშვორებ კიდევ, რომ ეს არ არის ერთი შემთხვევა. თვით ესევე პირი ხშირათ შერება ბზის და თივის ოჩხარს ამავე მხარეში, უდებს ურმებზე და გზავნის ქალაქს გასასყიდათ. ამევე პირმა ერთი ფარა ცხვარი შეაგროვა ოჩხარით.—ზარდა ამისა, ოჩხარი მოაქვს თავადი შვილებს, აქ ურ მემამულეებს!...

მართა აქაურმა მამულის პატრონმა, რომელიც კიდევ მსაჯულობს, გამოუცხადა თავის მამულზედ ცხოვრებლებს, რომ მათ მისცენ იმისთანა ბეგარა, რომელიც მათთვის მეტათ ძნელი და შეუძლებელი იყო. იმათა სთხოვეს შემსუბუქება და გამოუცხადეს, რომ არ შეუძლიანთ იმოდენა ხარჯის გადახდა. ამიგამო ამ ღირსმა მომრიგებელმა მოსამართლემ და მამულის პატრონმა აღუკრძალა იმის ალაგზე მცხოვრებ სოფელს, რომ იმათ არ გაბედონ გაზაფხულზედ ერთი კვალის გატარება, არ გაბედონ ხენა, მკა და სოფლიდამ მინდორზე გასვლა. რა უნდა ექნა უბედურ მცხოვრებლებს უხნავ-უთესოთ, რომელიც მათ აცხოვრებს, რით უნდა შენახა ამ წელში თავის ცოლშვილი და სახლობ?! ისინი კიდევ არაფერ ინდელიდნენ, რომლებსაც ჰქონდა შეკრებილი პური ამისთანა შემთხვევებისთვის, მაგრამ მომეტებული ნაწილი წლითი წლად გამოდის და მეორე წელში ის არაფერს არ გადაიყოლებს. მაგრამ ორიე იმათ, რომელთაც შეეძლო რამდენიმე წელიწადი გაეტარებინა უხნავ-უთესოთ, დაიწყეს ჩხარის ტარება ალოვებზედ. მოსახნავ მიწებზედ, სხვა სოფლებში!...

აი რაში მდგომარეობს ჩხარო და როგორ ხდება ის იმ მხარეში, რომელსაც უფრო ვიცნობ. მე, რასაკვირველია, ამ მსჯელობიდან არაერთი დასკვნა არ გამომყავს, არ უჩვენებ საშუალებას, რომელსაც შეუძლიან, ჩემი აზრით, ამ საქმის ცოტათ მაინც შევლა. ამას შემდეგისთვის შევიხანავ; ახლა კი მკითხველს მივანდობ ამ და სხვა „წერილმან“ მოვლინებებზედ დაფიქრებას. მე კი გამანთავისუფლეთ ახლა ოჩხარზედ ლაპარაკიდან და მომეცით ნება გავთავო ეს შენიშვნა სთინქის სიტყვებით:

„ბამოიკან, თორემ შთავნთქამ!...“

პრხოტიონი

წეს-დება

მიხაილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისს

VI

ბანკის მმართველობა § 64. ბანკის საქმეებს მართვენ: 1) ბანკის გამგეობა და მასთან მყოფი დამფასებელი კომისია; 2) ზედამხედველი კომიტეტი და 3) საყოველთაო კრება წევრთა საზოგადოებისა;

მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისს. საზოგადოებასთან იმყოფებან: კრება და კომიტეტი გიროსს-ფურცლების მეშვეობითა.

ბანკის გამგეობა

§ 65. ბანკის გამგეობა იმყოფება ქ. ქუთაისს და შესდგება სამის წევრისაგან: თავს-მჯდომარისა და ორის ღირეჭოარისაგან, რომელთაც საყოველთაო ძრება ირჩევს თვის-შორის კენჭის-ყრით. ბანკის გამგეობასთან მყოფი დამფასებელი კომისისა შესდგება ექვსთა წევრთაგან.

შენიშვნა. გამგეობისა და დამფასებელი კომისისის წევრთა რიცხვს შეიძლება, საყოველთაო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, მოემატოს რამდენიც საჭირო იქნება.

§ 66. თავს-მჯდომარის დაუსწრებლობისა და ავადყოფობის დროს იმის ადგილს იჭერს აღრჩევით უფროსი გამგეობის წევრი.

§ 67. პირველის გამგეობის გამორჩევის შემდეგ რომ სამი წელიწადი გაივლის, ყოველ წლიე გამოდის ერთი გამგეობის წევრთაგანი: პირველად ერთი ღირეჭოარი წილის ყრით, მეორეთ მეორე, ბოლოს თავს მჯდომარე; ამას იქით გამგეობის წევრნი გამოდიან ვისაც მათგანს უფრო ადრე მიუღია თანამდებობა. ბამოსულნი წევრნი შეიძლება ხელ-ახლად არჩეულ იქვნენ.

§ 68. დამფასებელი კომისისის წევრნი აირჩევიან საზოგადოების წევრთაგან სამის წლის ვადით ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობის წევრთა შეერთებულს კრებაში. დამფასებელი კომისისის თავსმჯდომარეს აირჩევენ თვის შორის ამ კომისისის წევრნი. შოველწლიე გამოდიან დამფასებელის კომისისისაგან ორორი წევრნი, პირველად წილის ყრით და შემდეგ ისინი, ვისაც იმათგანს უფრო დიდი ხანი დაუყვია თანამდებობაში.

შენიშვნა. თუ ვინცოცაა, გამგეობისა (§ 65) და დამფასებელი კომისისის წევრთ რიცხვი გამრავლებული იქნა, იმათი თანამდებობიდგან გამოსვლის რიგი საყოველთაო კრებამ უნდა განსაზღვროს.

§ 69. გამგეობისა და დამფასებელი კომისისის წევრთ აღმორჩევი დროს, აღმორჩევიან იმავე რიგით (§§ 65 და 68) თითოეულს თანამდებობაზედ კანდიდატი, რომელთაც უნდა დაიჭრონ ეს ადგილები, თუ ვინცოცაა წევრნი დიდის ხნით სხვაგან არიან, ან ავადყოფობენ ან დაეადამდის გამოვიდნენ. კანდიდატებს მიიწვევს გამგეობის თავს-მჯდომარე აღრჩევითი ხმების უმრავლესობისამებრ. ეს კანდიდატები იმ დროზედ მეტი არ უნოა დარჩნენ თანამდებობაში, რამდენის ვადითაც არჩეულნი იყვნენ ამ კანდიდატების წინამოადგილენი გამგეობასა და დამფასებელის კომისისაში. როცა კანდიდატი გამგეობისა და დამფასებელი კომისისის წევრის თანამდებობაზედ დგას, ყველა უფლებით სარგებლობს და ყველა ვალდებულებას ასრულებს,

*) „როგობა“ და № № 18 19

როგორც წყვილი, რომლის მაგიერა-თაც ის დამდგარა.

§ 70. ზამგეობის განკარგულება-შია ბანკის საქმეები და თავნები ამ წეს-დების საფუძველით. ზამგეობა ამ-ტკიცებს დასაგირავებელის ადგილ-მამულის დაფასებას, სწყვეტს სესხის მიცემას; სდებს აღკრძალულებას იმ ადგილ-მამულებზედ, რომელთა გირა-ოში სესხი გაცემულა; მოახდენს გან-კარგულებას გირაოს - ფურცლების მრამზადებაზედ, სამუშაოდ გამოცე-მაზედ, გაუქმებაზედ და მოსპობაზედ; თვალ-ყური უჭირავს, რომ სესხის ამღებთაგან გარდასახადი დროზედ შემოსდიოდეს, რომ სარგებელი და თავნი გირაოს ფურცლებში დრო-ზედ მიეცემოდეს; ნიშნავს მოკლე ვაღიანის სესხის გაცემას; სცი-ლობს, რომ ვაღის დამგვიანებელს დროზედ შემოუტანელი ფული გარ-დაახდევინოს და ვაღზედ გარდა-ცილებული გირაოები გაჰყიდოს; ნი-შნავს ბანკის საკუთრებად გამზადრის ადგილ - მამულების მმართველობას; თვალყური უჭირავს ბანკის დავთრე-ბისა და ანგარიშების კანონიერად წყყენაზედ; ნიშნავს და სცელის ბუჭალატურებს, კასირებს და სხვა მოსამსახურე პირთა, გამოირჩევს ზე-დამხედველ კომიტეტთან შეერთე-ბულს კრებაში დამუხაებელი კომ-ისიის წევრთა და მათ კანდიდატებს (§§ 68, 69 და 78); ასრულებაში მოჰყავს ზედამხედველის კომიტეტისა და საყოველთაო კრების კანონიერი გარდაწყვეტილებანი; შეადგენს და წარუდგენს ზედამხედველ კომიტეტს იმ ხარჯის აღრიცხვას, რაც საჭიროა მოსამსახურე პირთა ჯამაგირად და საზოგადოდ ბანკის მართვისათვის, და ყველა თავის მოქმედებათა წლი-ურს საფინანსო სასწორს (ბალანსს); ნიშნავს, თუ საჭირო იქნა, უეზდებ-ში თავის აგენტებს და ვეკილებს ბანკის ინტერესის დასაცველად და დასაფარავად და საზოგადოდ ის სცილობს ბანკის სარგებლობას და ყოველის თვისის ვალდებულების ნა-მდვილად ასრულებას წესდების თა-ნახმად; და იმ კითხვებზედ, რომელ-ნიც ბანკის წესდებაში არ შეტანილა, გამგეობა თავის მოსაზრებას ზედამ-ხედველს კომიტეტს წარუდგენს.

(გაგრძელება)

განცხადებანი

უ. ქალანდაძის და ამხ. წიგნის მა-ლაზიაში, ქუკის ხიდზედ, ისყიდება ქართული სამზარეულო წიგნი, შედგენილი კნა ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ-ჯ ა ძ ი ს ა გ ა ნ.

შასი ათი შაური (4-3)

დაიბეჭდა და ისყიდება თვილის-ში არს. ქალანდაძის ქართუ-ლი წიგნის მალაზიაში და შვირილაში ბოლოჩინ ლაიტო ლამაზიძესთან სახელმძღვანელო წიგნი სოფ-ლის მღვდლებათვის, შესრულე-ბის დროს მათგან საიდუმლო ქორ-წინებისა და ნათლის ღების, დამატე-ბითა სხვა და სხვა მღვდლისაგან მი-საცემი მოწმობების, საეკლესიო სა-ბუთების, წარმოების ფორმებთა და ასოებზე დაწყობილი ყველა წმინდა-ნების სახელითა მამათ სქესისა ცალ-კე და მდებრთა-ცალკე, ჩვენებითა მათი დღესასწაულობის დროთა.

შედგენილი მღვდლის და-ვით ლამაზიძისაგან.

შასი სამი აბაზი.

შს წიგნი განიხილა უ წ მ ი ნ დ ე ს ი ს და უ შ ა რ თ ე ბ უ ლ ე ს ი ს ს ი ნ ო დ ი ს სა ქ ა რ თ ვ ე ლ ო - ი მ გ რ ე თ ი ს კ ა ნ ტ ო რ ა ს და სასარგებლოდ და საჭიროდ იცნო ყვე-ლა მღვდლებათვის.

6-4

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკე-თებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს აღამიანის ხორცის კანზე, რომ აღობობს და ახალგაზდა აღა-მიანის კანს დაამსგავსებს.

ძანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ძ ა ი — გ ა მ ო მ გ ო რ ი.

pommade satin
(ატლანის კომადა)

ხელების კანის რბილად შე-სანახავად; ზამთარში არ და-უსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156-15

კამკასიის საბავიო ინსტიტუტი საგომიარო ლოპიტილით

(მეზაზე, ფოჩის სტანციის მახლობლად) მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობის-თვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ლოპი-ტალში არის ცალკე (საიდუმლო) ო-თახები თვეში 30-50 მანეთად.

ჩვევისათვის ავთომყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზი-

ტისა და წამლის ფასი ექვესი შაუ-რი; ღარიბები მუქთად. ლოპი-ტალში არის ცალკე (საიდუმლო) ო-თახები თვეში 30-50 მანეთად.

საუკეთესო საშუალება

თაგების, ვირ-თაგებისა და ბუზნაკლის გასაწყვეტად

რის ბუტმანი, ქიმიკოსი პე. შტიტამ,



იმპერატორის სასახლის მიჯარაღრი უცხო ქვეყნების სასახლე-რომელსაც პრივილეგია აქვს ბისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრებს წარუდ-გინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგების, ვირთაგებისა და ყოველ-გვარი ბუზნაკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, კინ-ჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს მეროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო სა-შუალება.



1872 წლის მოს-კოვის პოლიტენი-კურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამო-გონისათვის, დიდი

ვერცხლის მედალს მივიღე და აგრეთვე მენის გამოფენაზე 1873 წელსა.

ზამომგონი პასუხს აგებს ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ. პკიის-კურანტი:



წამალი თაგებისა, ვირთაგებისა და მოხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პა-რაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, კინ-ჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნა საჭიროა, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წა-შალი—1 მან.; სასიამოვნო სუნის აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბერებული ხორცის (მაზოლის) წამა-ლი, ერთი ბანკა—60 კაპ.



უმთავრესი დგომარის თფილის-ში, ღვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მალაზიაში; შ ლ ა დ ი კ ა ე კ ა შ შ ი. სეგალ-თან. აღეკსანდროვისკის პროსპექტზე, ლებედვის სახლში; ს ტ ა ე რ ო -პოლში—ტურილინკოსთან. ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლობმა ფოჩის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თვის საღებავი. 54-8

რბ. მზა.	ლილა.	სალა.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოზბა	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
მთილისი	936	454			ა) შოთილამ:	ა) თ ფ ი ლ ი ს ი ღ ა მ:	პეტერბურგი, 21 თებ.		მთილისი, 24 თებერვ.	
მცხეთა			68	38	მდესისკენ—ხუთაზა. შუადღეზე	სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს	შოთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	90
ბორი	1221	841	2	40	ატამბოლს—კვირაობით დილას.	—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ.	ლონდონში 32 პენსი.	84	შერი ფუთი.	55
ხაშური	2	1110	3	92	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მოზურგეთს — პარასკ. და	პარიში 334 სანტიმი.	89	ბამბა შრევენისა, ფუთი.	540
ბეჟათუბანი			4	42	შოთს—ოთხშაბათს, დილით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი(სარგებლისფასი)	6	—ამეროკისა, ფუთი.	630
შვირილა			5	81	მდესას—ოთხშ.ბათს, შუადღეზე	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	100	ბაპენტილი ბამბა ფთ.	8
შუთაისი	823		6	75	შოთილამ:	ბ) შ შ თ ა ი ს ი ღ ა მ:	მოგვბიანი(პირველისესხი)	226	მატყული თუშური ფთ.	750
სამტრედია			7	73	I	მთილისისა და შოთისკენ—ყო-	მოგვბიანი (მეორე სესხი)	217	—თრაქამისა ფთ.	750
ახსენაკი			8	57	II	ველ-დღე, კვირას გარდა. მოზურ-	ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმის ნუხური გრ.	260
შოთი	1144		9	75	III	გეთს—ორშ. და პარასკ. შუგდიდს	თფილ. სააზნ. ბანკისა.	94	ქონი, ფუთი.	4
შოთი	840				სოხუმიდამი . 4	—ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88	ქონის სათელი ფუთი.	560
ახსენაკი			1	18	ქერჩამდი . 20	გ) ბ ო რ ი ღ ა მ.	მოსკოვის (5%)	86	სტეარინის სათელი, ფ.	1020
სამტრედია			2	61	ბაგანოვო . 34	შოველგან ყოველ დღე, კვირას			ხორცი-ძროხისა, ლიტ.	63
შუთაისი	1151		3	41	მდესამდი . 38	გარდა.	ბ) შ ო თ ი ღ ა მ:		—ცხვრისა, ლიტრაჟ.	72
შვირილა			3	98	ტელეგრაფი	დ) შ ო თ ი ღ ა მ:	მოველგან ყოველ დღე, კვი-		საპირტი, ვედრო.	660
ბეჟათუბანი			4	22	მ.ცი სიტყვა მთილისილამ:	რას გარდა.	შეიზღვის ცეცხ. გემების		—ფხვნილი ფუთი.	640
ხაშური	541		5	33	შუთაისს, შოთს	წიგნის გაგზავნარუსეთში	შავკაზის და შერკურის . .	168	შავა გრგვლი ფუთი .	1925
ბორი	723		6	37	ბორს, ღუშეთს, სიღნახს	და სამზღვარ გარეთ:	პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	ზეთი ქუნჯულისა ფთ.	550
მცხეთა			7	85	როსტოვს მდესას მოსკოვს	ლა წიგნის	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	მქოთ 1/2 იმპერიალი .	595
მთილისი	1016		8	42	პეტერბურგს, პარშავას . .	დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257		